AIS LLC
(Akhalkalaki HPP)

No.210322-001 22.03.2021ნ

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის მინისტრს ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ შპს „აისი" ახალქალაქი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ახორციელებს 9.1 მგვტ დადგმული სიმძლავრის „ახალქალაქი ჰესი"-ს (ახალქალაქი 1 ჰესი და ახალქალაქი 2 ჰესი) მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტს. აღნიშნულ პროექტზე თქვენი 2020 წლის 12 მარტის N2-240 ბრძანებით, „ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, შპს „აისი"-ს მდ. ფარავანსა და მდ. კორხზე 9.1 მგვტ დადგმული სიმძლავრის „ახალქალაქი ჰესი"-ს (ახალქალაქი 1 და ახალქალაქი 2), 35 კვ. ქვესადგურის და ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ" გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

დეტალური პროექტირების პროცესში, ცვლილებები იქნა შეტანილი ახალქალაქი 2 ჰესის სადაწნეო მილსადენის პროექტში, კერძოდ: მილსადენის ბოლო 350 მ სიგრძის, პკ 1+655 და პკ 1+940-ს შორის მოქცეულ მონაკვეთზე საჭირო გახდა ყრილის (რამპის) მოწყობა, რის გამოც პროექტის გავლენის ზონაში დამატებით მოექცევა 9773 $მ^2$ ფართობის ტერიტორია.
აღნიშნული ცვლილებები წარმოადგენს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლას, რაც საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-5 მუხლის, მე-12 პუნქტის მიხედვით წარმოადგენს სკრინინგის პროცედურას დაქვემდებარებულ საქმიანობას.

წარმოგიდგენთ, ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, შპს „აისი"-ს მდ. ფარავანსა და მდ. კორხზე 9.1 მგვტ დადგმული სიმძლავრის „ახალქალაქი ჰესი"-ს (ახალქალაქი 1 და ახალქალაქი 2), 35 კვ. ქვესადგურის და ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობასა და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილი ცვლილებების სკრინინგის განაცხადს და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

წერილს თან ერთვის:

- ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, შპს „აისი"-ს მდ. ფარავანსა და მდ. კორხზე 9.1 მგვტ დადგმული სიმძლავრის „ახალქალაქი ჰესი"-ს (ახალქალაქი 1 და ახალქალაქი 2), 35 კვ. ქვესადგურის და ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობასა და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილი ცვლილებების სკრინინგის ანგარიშს -1 ეგზემპლიარი ნაბეჭდი ვერსია;
- სკრინინგის ანგარიშის ელექტრონული ვერსია და საპროექტო დერეფნის კორექტირებული GIS კოორდინატები shp ფაილების სახით - CD დისკზე;
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შპს „აისი"-ს რეგისტრაციის თაობაზე.

პატივისცემით,

თეიმურაზ მათითაშვილი
შპს „აისი"-ს დირექტორი

AIS LLC
(Akhalkalaki HPP)

Add: No 13-4, IV Floor, VIII Entrance, No12 Sulkhan Tsintsadze Str. Tbilisi, Georgia
Tell: (+995) 593 320 216 – (+995) 598 132 201
E-mail: tmamashvili@ais-georgia.ge; lsalsouri@ais-georgia.ge

№ 5062
"23" 03 2021